საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/279 "2" ივლისი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულის საქმეებზე თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 თებერვლის №1/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულის საქმეებზე თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 თებერვლის №1/9 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებისა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ";

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21^1 მუხლის საფუძველზე, ამავე კოდექსის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე დადგინდეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებისა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები შემდეგი სახით:

ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიები;

ბ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ამბროლაურის, ზესტაფონის, სამტრედიის, საჩხერისა და ცაგერის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

გ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ოზურგეთისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

დ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

ე) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ზუგდიდის, ოჩამჩირე-ტყვარჩელისა და გალი-გულრიფშის, სენაკის რაიონული სასამართლოებისა და ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიები;

ვ) თელავის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

ზ) გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს გორის, ახალქალაქის, ახალციხის, მცხეთისა და ხაშურის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი